თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ო ქ მ ი № 02

29 თებერვალი 2024 წ. ქ. თელავი

სხდომას ესწრებოდნენ: 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 32 დეპუტატი :

თავმჯდომარეობდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თენგიზი მთვარელიშვილი;

ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	**მამუკა ბურდიაშვილი;**
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები:	**ალექსანდრე შათირიშვილი;**
	მიხეილ დაღუნდარიძე;
საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე	**ზურაბ ლილუაშვილი;**
საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	**თინათინ ხანჯალიაშვილი;**
სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	**ლევან ბერძენაშვილი;**
საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე	**გიორგი ხაჭაპურიძე;**
საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე	**ლევან კოჭლოშვილი;**
საკრებულოს ფრაქციის „ქართული-ოცნება დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე	**დავით ღაღანიძე;**
საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე	**ბაადურ რევაზიშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული-ოცნება დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილეები: **ზაზა ტატულიშვილი, უჩა ჭოტიაშვილი, ოთარი ესიტაშვილი, თამარ ხატიაშვილი.**

საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილეები: **გიგი**

საკრებულოს წევრები: **ნიკოლოზ მაისურაძე, ეკატერინე ონიკაძე, გიორგი ქართლელიშვილი, მარიამ ლილუაშვილი, ალექსი ძულიაშვილი, ბაადურ გულიაშვილი, ნინო ომანიძე, იმედა კევლიშვილი, ივანე დალაქიშვილი, ნატალია ბახსოლიანი, მერი მაისურაძე, რამაზი ჩეკურიშვილი, ალექსანდრე კუპატაძე, გელა ესიტაშვილი** (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

თელავის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე **ნიკოლოზ მეტრეველი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ნათია ვაყელიშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი **ზურაბ სახიაშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურდიული სამსახურის უფროსი **ანა ფეიქრიშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის სპეციალისტი **ნუგზარ ბაჩიაშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე;**

საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები;

მასობრივი საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლები;

მოქალაქეები: მაკა მოსიაშვილი, არჩილ მჭედლიშვილი.

თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა დღის წესრიგის პროექტი.

<u>**დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:**</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N22 დადგენილების „თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხს. ნ. ვაყელიშვილი
   12.00სთ-დან-12.20სთ-მდე

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N22 დადგენილების „თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

   მომხს. ნ.ვაყელიშვილი

   12.20სთ-დან-12.30სთ-მდე

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის №03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს.ა.ფეიქრიშვილი
12.30სთ-დან-12.40სთ-მდე

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის N10 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M^3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“ - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს.ა.ფეიქრიშვილი
12.40 სთ-დან - 12.50სთ-მდე

5. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის №11 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფისა და შეღავათების დადგენის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს.ა.ფეიქრიშვილი
12.50 სთ-დან - 13.00სთ-მდე

6. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ;

მომხს.ზ.სახიაშვილი
13.00სთ-დან-13.10სთ-მდე

7. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მაყვალა სეხნიაძისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხს.ზ.სახიაშვილი
13.10სთ-დან-13.20სთ-მდე

8. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „თელავის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხს.ზ.სახიაშვილი
13.20სთ-დან-13.30სთ-მდე

9. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „კახეთის სამხარეო განვითარების ცენტრისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხს.ზ.სახიაშვილი
13.30სთ-დან-13.40სთ-მდე

10. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების „World Vision

სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს.ზ.სახიაშვილი
13.40სთ-დან-13.50სთ-მდე

11. თელავის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ზონირებისა და ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ.

მომხს.ზ.სახიაშვილი
13.50სთ-დან-14.00სთ-მდე

12. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N27 დადგენილების - „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ტ.გალახვარიძე
14.00სთ-დან-14.10სთ-მდე

დღის წესრიგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

ა.მჭედლიშვილმა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ მოითხოვა განცხადების გაკეთების უფლება, რაზეც თავმჯდომარისაგან მიიღო თანხმობა.

<u>1.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N22 დადგენილების „თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ნ. ვაყელიშვილი
12.00სთ-დან-12.20სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **ლ.ბერძენაშვილმა** აღნიშნა, რომ ადგილობრივი ტელევიზიის თანდაფინანსების საკითხთან დაკავშირებით იბადება გარკვეული კითხვები და დღევანდელ სხდომაზე ნაადრევად მიიჩნია გადაწყვეტილების მიღება, რადგან საკითხი მოითხოვს სრულფასოვან ანალიზს, მიზანშეწონილობის დადგენას და დეტალურ შესწავლას. მან წინადადება დააყენა ბიუჯეტის ცვლილების პროექტს კენჭი ეყაროს ტელევიზიის თანადაფინანსების პუნქტის გარეშე.

ანალოგიური მოსაზრება გამოთქვა **ა.შათირიშვილმა,** მან ხაზი გაუსვა ადგილობრივი ტელევიზიის ფუნქციონირების მნიშვნელობას, მაგრამ აღნიშნა, რომ საკითხი სრულყოფილად უნდა იქნას შესწავლილი და არ უნდა მივიღოთ ნაჩქარევი

ბ.რევაზიშვილმა მხარი დაუჭირა ლ.ბერძენაშვილის და ა.შათირიშვილის მოსაზრებას და დაეთანხმა შესწორებული ვარიანტის კენჭისყრის საკითხს.

საკრებულოს წევრების მიერ გამოთქმული მოსაზრებების საფუძველზე საკრებულოს თავმჯდომარემ ბიუჯეტში განსახორციელებელ ცვლილებასთან დაკავშირებით **გამოაცხადა სარეიტინგო კენჭისყრა.**

თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების წარმოდგენილ პროექტს კენჭი ეყაროს ადგილობრივი ტელევიზიის თანადაფინასების მუხლის გარეშე, **მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.**

ბ.გულიაშვილმა მომხსენებელს, როგორც სატენდერო კომისიის წევრს დაუსვა კითხვები ქ.თელავში ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოების შერჩევის მეთოდების შესახებ, მან აღნიშნა, რომ ვატია ქუჩას, რომელიც დიდი ხანია გადათხრილია ესაჭიროება რეაბილიტაცია, ტენდერები კი ცხადდება სხვა ქუჩებზე.

ნ.ვაყელიშვილმა აღნიშნა, რომ ტენდერი ცხადდება იმ პროექტებზე, რომელთა დაფინანსებაც განსაზღვრულია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

მოქალაქე მ.მოსიაშვილმა ისაუბრა სოფელ ნაფარეულში მოქალაქე ნანული ხომიზურის სტიქიის დროს დაზიანებული სახლის შესახებ და აღნიშნა, რომ გაურკვეველი მიზეზით იქნა მოქალაქე სიიდან ამოღებული, რის გამოც მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება მერიას და კონკრეტულ თანამდებობის პირებს.

<u>დაადგინეს:</u> **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **30(ოცდაათი)** წევრმა.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 02(ორი) წევრმა: გ.გიგიტელაშვილმა, ი.დალაქიშვილმა.

<u>2.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N22 დადგენილების „თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს. ნ. ვაყელიშვილი
12.00სთ-დან-12.20სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **ბ.გულიაშვილმა** დასვა კითხვა მოსალოდნელ ცვლილებებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ წინასწარ არავინ იცის რა ეკონომიები დავგრჩება ტენდერების შემდგომ და რა ცვლილებები იქნება განხორციელებული.

<u>გადაწყვიტეს:</u> **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **22(ოცდაორი)** წევრმა.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 10 (ათი) წევრმა: გ.გიგიტელაშვილმა, ბ.რევაზიშვილმა, რ.ჩეკურიშვილმა, ა.კუპატაძემ, ი.კევლიშვილმა, ბ.გულიაშვილმა, მ.მაისურაძემ, ნ.ბახსოლიანმა, ი.დალაქიშვილმა, ა.მახარიაშვილმა..

<u>3. მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის №03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს.ა.ფეიქრიშვილი
12.30სთ-დან-12.40სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **ბ.გულიაშვილმა** მოითხოვა დასაბუთება საშტატო ერთეულის მოქალაქეთა მომსახურების განყოფილებიდან ინფრასტრუქტურის განყოფილებაში გადაადგილების თაობაზე.

ბ.რევაზიშვილმა კი აღნიშნა, რომ მერიაში შტატები ხელოვნურადაა შექმნილი პარტიული აქტივისტებისათვის. ის არ დაეთანხმა აგრეთვე მერის წარმომადგენლებისათვის თანამდებობრივი სარგოების გაზრდას, რადგან ისინი ფაქტიურად ფუნქციებს არაკვალიფიციარად ასრულებენ.

გ.გიგიტელაშვილმა აღნიშნა, რომ საკრებულომ უნდა მოისმინოს შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის შეფასების შესახებ.

ი.კევლიშვილმა აგრეთვე აღნიშნა, რომ მერიაში აუცილებელია შტატების ოპტიმიზაცია, მეოთხე რანგის თანამშრომლებს არ უნდა ვაძლევდეთ მაღალ სარგოებს.

მ.მოსიაშვილმა აღნიშნა, რომ ინფრასტრუქტურის სამსახურის უმცროს სპეციალისტს არ უნდა ქონდეს სოციალური სამსახურის უმცროს სპეციალისტზე მეტი სარგო. მუნიციპალიტეტში უამრავი ინფრასტრუქტურული პრობლემაა რა დამსახურების გამო უნდა ქონდეთ სარგო მაღალი იმ სამსახურის თანამშრომლებს, რომელიც სრულფასოვნად ვერ ასრულებს თვის უფლებამოსილებას.

ა.მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ მოსახლეობას ადგილობრივი ჩინოვნიკების შენახვა მძიმე ტვირთად არ უნდა აწევდეს. სარგოები პროპორციული უნდა იყოს გაწეული შრომის.

<u>დაადგინეს:</u> **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **21(ოცდაერთი)** წევრმა.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 10 (ათი) წევრმა: გ.გიგიტელაშვილმა, ბ.რევაზიშვილმა, რ.ჩეკურიშვილმა, ა.კუპატაძემ, მ.მაისურაძემ, ბ.გულიაშვილმა, ა.მახარიაშვილმა, ი.დალაქიშვილმა, ნ.ომანიძემ, ე.გურგენაშვილმა.

მესამე საკითხის განხილვის შემდგომ სხდომა დატოვა ბ.გულიაშვილმა.

4. მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის N10 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M^3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე" - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს.ა.ფეიქრიშვილი
12.40 თ-დან - 12.50სთ-მდე
12.41

გადაწყვიტეს: **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **26(ოცდაექვსი)** წევრმა.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 05 (ხუთი) წევრმა: გ.გიგიტელაშვილმა, რ.ჩეკურიშვილმა, ნ.ბახსოლიანმა, ა.მახარიაშვილმა, ი.დალაქიშვილმა.

5. მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის №11 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფისა და შეღავათების დადგენის შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს.ა.ფეიქრიშვილი
12.50 სთ-დან - 13.00სთ-მდე

გადაწყვიტეს: **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **ყველა** წევრმა).

6. მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ;

მომხს.ზ.სახიაშვილი
13.00სთ-დან-13.10სთ-მდე

გადაწყვიტეს: **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **24(ოცდაოთხი)** წევრმა.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 07 (ექვსი) წევრმა: გ.გიგიტელაშვილმა, რ.ჩეკურიშვილმა, მ.მაისურაძემ, ი.კევლიშვილამ, ე.გურგენაშვილმა, ნ.ომანიძემ, ი.დალაქიშვილმა,

7. მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მაყვალა სეხნიაძისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხს.ზ.სახიაშვილი
13.10სთ-დან-13.20სთ-მდე

<u>გადაწყვიტეს:</u> **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **ყველა** წევრმა).

<u>8. მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „თელავის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხს.ზ.სახიაშვილი
13.20სთ-დან-13.30სთ-მდე

<u>გადაწყვიტეს:</u> **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **ყველა** წევრმა).

<u>9. მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „კახეთის სამხარეო განვითარების ცენტრისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხს.ზ.სახიაშვილი
13.30სთ-დან-13.40სთ-მდე

<u>გადაწყვიტეს:</u> **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **ყველა** წევრმა).

<u>10. მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების „World Vision International-ის ფილიალისთვის საქართველოში" პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს.ზ.სახიაშვილი
13.40სთ-დან-13.50სთ-მდე

<u>გადაწყვიტეს:</u> **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **30(ოცდაათი)** წევრმა.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 01 (ერთი) წევრმა: ნ.ომანიძემ

<u>11. მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ზონირებისა და ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ.

მომხს.ზ.სახიაშვილი
13.50სთ-დან-14.00სთ-მდე

<u>დაადგინეს:</u> **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 19(ცხრამეტი) წევრმა.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 12 (თორმეტი) წევრმა: გ.გიგიტელაშვილმა, ბ.რევაზიშვილმა, რ.ჩეკურიშვილმა, ა.კუპატაძემ, მ.მაისურაძემ, ე.გურგენაშვილმა, ნ.ბახსოლიანმა, ნ.ომანიძემ, ა.მახარიაშვილმა, ლ.ძულიაშვილმა, ი.დალაქიშვილმა.

<u>12. მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N27 დადგენილების - „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ტ.გალახვარიძე
14.00სთ-დან-14.10სთ-მდე

<u>დაადგინეს:</u> **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 23(ოცდასამი) წევრმა.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 08 (რვა) წევრმა: გ.გიგიტელაშვილმა, ბ.რევაზიშვილმა, რ.ჩეკურიშვილმა, ი.კევლიშვილმა, ნ.ომანიძემ, მ.მაისურაძემ, ი.დალაქიშვილმა, ლ.ძულიაშვილმა.

<u>13.მოისმინეს:</u> „სხვადასხვა“

რ.ჩეკურიშვილმა აღნიშნა, რომ სოფელ ფშაველში არ დასრულებულა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2023 წელს განსაზღვრული პროექტი მოითხოვა განმარტებები, რაზეც მერის პირველმა მოადგილემ აღნიშნა, რომ შემსრულებელს ქონდა გარკვეული ფინანსური პრობლემები, რაც აღმოფხვრილია და უახლოეს დღეებში გაგრძელდება სამუშაოები.

ა.მჭედლიშვილმა ისაუბრა თამარის ქუჩაზე არსებულ მდგომარეობის შესახებ და აღნიშნა, რომ უკვე მეოთხე თვეა ამ ქუჩის მოსახლეობა გაუსაძლის პირობებშია მიმდინარე სამუშაოების გაჭიანურების გამო.
მან აგრეთვე გამოთქვა მოსაზრებები ქალაქის ტერიტორიაზე შუქნიშნების მუშაობის მოწესრიგების აუცილებლობაზე.

საკრებულოს თავმჯდომარე — თენგიზ მთვარელიშვილი

TELAVI MUNICIPALITY COUNCIL
GEORGIA
231291535